საჯარო სამართლის იურიდიული პირის
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
THE FIRST UNIVERSITY CLINIC
OF TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

0141, გუდამაყრის ქ.4, თბილისი, საქართველო
Gudamakari str 4, Tbilisi, Georgia 0141
ტელ: 032 261 01 01; Tel: 032 261 01 01
E-mail: firstclinictsmu@gmail.com

№ 10/1960

20 12 2019 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნლითა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს,

ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

რეანიმაციული განყოფილება განკუთვნილია პაციენტებისთვის, რომელთაც ესაჭიროებათ გაცილებით მეტი რესურსები როგორც სამკურნალწამლო და მოვლის საშუალებების მხრივ, ასევე ადამიანური, განსხვავებით ინტენსიური თერაპიისგან.

რეანიმაციული განყოფილება ორიენტირებულია პაციენტის სრულ გამოჯანმრთელებაზე და მოიცავს როგორც რეანიმატოლოგის, ასევე სხვადასხვა სპეციალიზაციის ექიმებისა და კვალიფიციური ექთნების გუნდის მუდმივ ჩართულობასა და მეთვალყურეობას სამკურნალო პროცესში. განყოფილების გამართული მუშაობა იძლევა სხვადასხვა ორგანოთა უკმარისობის დროული პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საშუალებას, რაც საბოლოოდ ფინანსური სახსრების ეფექტურად ხარჯვის საფუძველია.

რეანიმაციული განყოფილების სიდიდის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- კლინიკის პოლიპროფილურობა;
- გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა
- სელექტიურობა: (სუბრეგიონალური/ რეგიონალური);
- რეანიმაციული საწოლების რაოდენობა და მათი თანაფარდობა კლინიკის საერთო საწოლ ფონდთან;
- მულტიდისციპლინარული კომიტეტი (უზრუნველყოფს პაციენტის უსაფრთხოებას და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებისთვის მოლოდინზე ხელის შემშლელი ფაქტორების გამოვლენას.
- მაღალტექნოოგიური კვლევების ხელმისაწვდომობა კლინიკაში (MRT, CT და სხვა). ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება შესაძლოა მრავალნაირად განიმარტოს, თუმცა იგი ძირითადად დამოკიდებულია პაციენტის სუბიექტურ მოლოდინზე და მისი მიერ გაწეული სამედიცინო დახმარების შეფასებაზე. ხარისხიანი ჯანდაცვის მთავარი ამოცანაა, ერთის მხრივ, უზრუნველყოს პაციენტის კმაყოფილების ხარისხი, მეორეს მხრივ, ეფექტურად დაზოგოს დამფინანსებელი ორგანიზაციის სახსრები და საბოლოოდ უზრუნველყოს ექიმის დაცულობის მაღალი სტატუსი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რეანიმაციული მკურნალობის პროცესში, დამატებით გამოყოფილ იქნას ანტიბიოტიკო თერაპიისა (სარეზერვო) და ალბუმინო თერაპიისათვის საჭირო ფინანსური რესურსები, ე.წ. ხელოვნური კოდების შექმნის გზით.

თსსუ–ის ანესთეზია–რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი

ლევან რატიანი

თსსუ–ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის

გენერალური დირექტორი

ლია ძიძიგური